ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 5-263

ქ. თბილისი 28 იანვარი 2013 წელი

ერთის მხრივ სსიპ „ქ. თბილისის №47 საჯარო სკოლა" (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი დირექტორის ირმა ხუციშვილის სახით და მეორეს მხრივ აუდიტორული კომპანია „კომპაუდი" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის ივანე ფანცულაიას სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობისა და გამარტივებული შესყიდვის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები

1.1. **„ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ"** (შემდგომში - „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე. აქედან, ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი-შემსყიდველს.

1.2. **"ხელშეკრულების ღირებულება"** - ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს "შემსყიდველმა" მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.

1.3. **„დღე" , „კვირა",„თვე"** - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. **„შემსყიდველი"** - ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. **„მიმწოდებელი"** - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. **„მომსახურება"** - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

1.7. სსიპ „ქ.თბილისის №47 საჯარო სკოლის" მოძრავი ძირითადი და მცირეფასიანი აქტივების საბალანსო მუხლების აუდიტი 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (კლასიფიკატორის CPV-79212000 კოდი).

3. ხელშეკრულების ღირებულება

1.8. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **500 (ხუთასი)** ლარს.

1.9. მომსახურების ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშწორების ფორმა და ვადები

1.10. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში

1.11. მიმწოდებელთან ანგარიშწორება შემსყიდველის მიერ იწარმოებს ხელშეკრულებით გაწეული მომსახურებაზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად.

1.12. მიმწოდებელთან ანგარიშწორება განხორციელდება ფაქტობრივად განხორციელებული მომსახურეობის შესაბამისად, მომსახურების გაწევიდან 10 კალენდარულ დღეში.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს მიღება ჩაბარების აქტს

5.2. მიღება-ჩაბარების აქტზე ხელისმომწერის უფლება ეძლევათ წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელისმომწერ პირებს.

5.3. მიმწოდებელი მომსახურების გაწევას დაიწყებს ხელშეკრულების გაფორმებიდან და დაასრულებს 2013 წლის 15 თებერვალს.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია

6.1.1 ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლისმიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია

6.2.1 უზრუნველყოს მიმწოდებლის მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია

6.3.1 მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.3.2. გამოიყენოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებები.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

6.4.1. გაწიოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება სათანადო ხარისხითა და მოცულობით რაც გათვალისწინებულია ხელშეკრულების მე-6 მუხლში;

6.4.2. კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები;

6.4.3., არ გაამჟღავნოს შემსყიდველი პერსონალური ინფორმაცია გარდა იმ შემთხვევებისა, რაც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით.

6.4.4. იმ შემთხვევაში თუ გაწეული მომსახურება არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ზიანი.

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1. ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველი.

7.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და გაწეული მომსახურების ხარისხის პროცესის კონტროლს.

7.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

п. 3+5 пр.

8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

8.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

9.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.5. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მარეს გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

9.6. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2. თუ, ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

10.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2013 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.

13. საერთო პირობები

13.1. მიმწოდებელი არ არის პასუხისმგებელი აბონენტის მიერ ქსელში გატარებულ ინფორმაციაზე ან/და საიტზე განთავსებული ინფორმაციის შინაარსზე; „მომსახურების“ ხარისხზე, თუ ხარვეზი გამოწვეულია აბონენტის ლოკალური ქსელის ან/და ინტერნეტ პროვაიდერისგან მიღებული სერვისის გაუმართაობით; ვირუსული პრობლემებით ან/და თუ აბონენტის სუბიექტური მოლოდინი და მოთხოვნა აღემატება ხელშეკრულებით განსაზღვრულ მომსახურების ხარისხსა და მახასიათებლებს.

13.2. შემსყიდველი ადასტურებს, რომ გაცნობილია და ეთანხმება კომპანიის საიტზე http://serv.ge გამოქვეყნებულ სერვისით სარგებლობის წესებს და ტარიფებს;

13.3. შემსყიდველი თანხმობას აცხადებს მის მიერ მითითებული პერსონალური მონაცემები შეყვანილ იქნას კომპანიის მონაცემთა ბაზაში;

13,4. ამ ხელშეკრულებით შემსყიდველი ყიდულობს მომსახურებას და მას საკუთრებაში არ გადაეცემა რაიმე ტექნიკური მოწყობილობა ან/და ნივთი;

13,5. ახალი ან გაფართოებული მომსახურების გაწევის შესახებ აბონენტსა და კომპანიას შორის იდება დამატებითი ხელშეკრულება.

13,6. წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დანართი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

15. რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ ქ. თბილისის №47 საჯარო სკოლა	შ.პ.ს. “კომპაუდი”
ს/კ: 203 850 831	ს/კ: 202385169
მისამართი ქ. თბილისი ჩიტაძის ქ. №	მისამართი: ქალაქი თბილისი აკაკი წერეთლის გამზირი №95ა.
მომსახურე ბანკი: სს “საქართველოს ბანკი“.	მომსახურე ბანკი:სს ”ლიბერთი ბანკი”
ბანკის კოდი: BAGAGE22	ბანკის კოდი: LBRTGE22
ა/ა №: GE22BG0000000119246200	ა/ა №: GE67LB0113110331097000
დირექტორი	დირექტორი
ირმა ხუციშვილი	ი. ფანცულაია